№ 215

სამშაბათი, 11 ოქტომბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 215

სამშაბათი, 11 ოქტომბერი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლი, თავადი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი ამით აუწყებს ბბ. თავად-აზნაურთ, რომ დღეს, 11 ოქტომბერს, სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილი იქნება წირვა და შემდეგ პარაკლისი **მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის განკურნების სავედრებლად.**

წირვა დაიწყება დილის 11 საათზედ. (1—1783—1)

---

### ტფილისი, 11 ოქტომბერი

—

ერის განათლებისათვის რასა აქვს ისეთი მნიშვნელობა, თუ არა იმ პაწია, თავ-გამოდებულ მუშაკებს, რომლებიც სოფლის სასწავლებლებში არიან გაფანტულნი და დღესა და ღამეს განათლების ჭრაქის ანთებას სცდილობენ. ევროპის მდაბიო ხალხში თუ სწავლა-განათლება ისე ძლიერ არის გავრცელებული, რომ უმრავლესობა წერა-კითხვის მცოდნეა, საერო მასწავლებლების წყალობით არის. საერო მასწავლებელია ერის განათლების ჭოჭინა და აკვანი, იგია პირველი მასაზრდოებელი და ძიძა უვიცობის წყვდიადის გაქრობისა და ნათელის აღდგენისა. კიდეც ამიტომ ევროპაში ყველგან დიდს პატივსა სცემენ საერო მასწავლებელს, იმ ევროპაში, სადაც განათლების შუქი, ისე-კი არა ჰბჟუტავს საცოდავად, როგორც ჩვენში, ელექტრონის ლამპარსავით ჰკაშკაშებს და ჰბრწყინავლებს.

რასაკვირველია, ჩვენში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საერო მასწავლებელს, დიდად საშრომი, უტეხი ტყე უძევს წინ უვიცობისა გასაკაფად, უფრო დიდი თავ-გამოდება და თავ-განწირვა სჭირია და, მაშასადამე, უფრო პატივცემულიც უნდა იყოს. იგია ხშირად დაბად და სოფლად ერთად-ერთი ინტელიგენტი, იმას მიჰმართავს ხოლმე გაჭირვებული გლეხი ყოველ საქმისათვის, ბევრჯელ იგი იძულებულია წერა-კითხვის მასწავლებელიც იყოს ბავშვებისა და დიდრონებისა, ხალხის დამრიგებელიც, კანონის გზის მაჩვენებელიც, საექიმო რჩევის მიმცემიცა და დაჩაგრულის მფარველიც. ის უწევს წინააღმდეგობას, როდესაც გათარეშებული მამასახლის-გზირები სოფელს აწიოკებენ და ანიავებენ, იგია ერთად-ერთი ძარღვი, რომელიც სოფელს გონებრივად აერთებს ქალაქთანა და მთელს ქვეყანასთან.

ამისდა მიუხედავად, სხვაგან თუ შრომა საერო მასწავლებლისა ზნეობრივადაცა ჯილდოვდება და ქონებრივადაც, ჩვენში ისინი ერთსაც მოკლებულნი არიან და მეორესაც. ზნეობრივად დიდად შევიწროებულნი არიან, იმათს შრომას არავინ აფასებს, ათასს უსიამოვნებას ითმენენ ადგილობრივ მოხელეთაგან, რომელთაც ისინი თავისს მტრებად მიაჩნიათ, და ქონებრივად ხომ იმათის დიდის შრომის ფასი თვეში ოც-და-ხუთი მანეთია, რომელიც საჭმელადაც და ჩაცმა-დახურვადაც არა ჰკმარით, თორემ შავის დღისათვის ორიოდე გროშის გადადებას ვინა სჩივის...

ეს ორიოდე გროშიც რომ დროზედ ეძლეოდეთ, კიდევ ღვთის წყალობა იქნებოდა. ჩვენის ქვეყნის არა ერთის მხრიდგან მოგვსვლია საჩივარი, რომ ხშირად სამი ოთხი თვე არ მოგვდის ჯამაგირი და ბედის ანაბარადა ვართ დატოვებულნიო. ასეთს მდგომარეობაში რა ხალისი, რა გული-და შერჩებათ საერო მასწავლებლებს, რომ პირ-ნათლად გაუძღვნენ თავისს ფრიად სასარგებლოსა და მძიმე მოვალეობას? ნუ თუ არ შეეძლო მთავრობას ამ საგნისათვის ყურადღება მიექცია და ეს ნაკლი, ნაკლი, რომელიც კეთილად წარმართვას სწავლის საქმისას დიდად აბრკოლებს და აზიანებს, აეცილებინა როგორმე?!

ჩვენის გაზეთის მე-213 №-ში დაბეჭდილია კახეთიდგან მოწერილი ამბავი, რომლითაც კორესპონდენტი სჩივის, რომ „თელავისა და სიღნაღის მაზრაში ისეთი მასწავლებლები არიან, რომ ოთხი ხუთის თვის ჯამაგირი არ მიუღიათ მამასახლისის წყალობითაო“. ამ უკანასკნელმა ორმა სიტყვამ მიიქცია ჩვენი ყურადღება: ნუ თუ მასწავლებლის ჯამაგირის მხრივ დაკმაყოფილება მამასახლისისაგან არის დამოკიდებული? განა საიდუმლოა ვისთვისმე, რომ მამასახლისი იშვიათად უყურებს საერო მასწავლებელს წყალობის თვალით, რადგან იგი უშლის ხელს „მომკას, სად არა დაუთესია რა, და მოჰკრიბოს, სად არა გაუბნევია რა“; რომ ის უდგას კრიჭაში და, თუ ცოტა ფხიანია, არავითარ უსამართლობის ჩადენის ნებას არ აძლევს? და აი, წარმოიდგინეთ, ამ მამასახლისს უნდა შესცქეროს მასწავლებელმა ხელში, აცა, როდის მოიდებს წყალობას და ჩემის მძიმე შრომის სასყიდელს მომცემსო!..

ასეთი წესი მაშინ კიდევ შესაწყნარებელი იქნება, როდესაც სოფელს სწავლული, პატიოსანი მამასახლისი გაუჩნდება და საერო მასწავლებლის გულ-მტკივნეულობას საზოგადო სიკეთისასა და ბედნიერებისას იმისი გულ-მტკივნეულობაც ზედ დაერთვის. ეხლაკი, როდესაც ეს ასე არ არის, როდესაც სოფელი დრტვინავს და სჩივის მამასახლისისაგან, როდესაც თვით მამასახლისიც იგივე უვიცი სოფლელია და მხოლოდ ჯიბესა და მუცელს ჩასცქერის, ეხლა ასეთი წესი, ჩვენის აზრით, ყოვლად შეუწყნარებელია და მავნებელი საქმისა.

აუცილებლად საჭიროა, რომ ეს საქმე, ეს უფლება გამოეცალოს მამასახლისს ხელიდგან და ყოველ მაზრის უფროსმა ისე მოაწყოს საქმე, რომ პირდაპირ იმათგან ეძლეოდეთ საერო მასწავლებლებს ჯამაგირი. მაშინ, ჯერ ერთი, მასწავლებელი მამასახლისისაგან არ იქმნება დამოკიდებული და, მეორე, არც ის ფიქრი შეაწუხებს, რომ მამასახლისი განგებ მიჭერს ფულს, განგებ მაწვალებსო, რაც ბევრჯელ იქნება მართალიც იყოს და იქნება ტყუილიც, ფიქრი, რომელიც ხალისს დაუკარგავს, გულს გაუტეხს მარტოხელს მთესველს განათლებისას ისეთს ყამირს ნიადაგში, რომელსაც განათლების ბარი და საკვეთი პირველადა ჰხვდება.

ფარნაოზი

---

# დეპეშა

8 ოქტომბერი*)

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 7 ოქტომბრის საღამოს 10 საათისა:

7 ოქტომბრის ღამე ხელმწიფე იმპერატორმა თითქმის უძილოდ გაატარა; დილით, ჩვეულებრივად, წამოდგა; საზოგადო სისუსტე და გულის სისუსტე ისეთივე აქვს. ფეხების სიმსივნე, რომელიც ამ უკანასკნელ დროს დაემართა, თანდათან მატულობს; საზოგადოდ, ავგუსტოესი ავადმყოფი ისევ იმ მდგომარეობაშია.

ოფიციალურად: ბიულეტენი 8 ოქტომბრის საღამოს 7 საათისა და 40 წუთისა. ხელმწიფე იმპერატორს წარსულს დღე-ღამეში მცირეოდენს ხანს ეძინა ერთხელ წამოდგა კიდეც. ისევ იმ ძალ-ღონეზეა და გულის სისუსტე ისევ იმავე მდგომარეობაში აქვს. ფეხების სიმსივნე არ მოჰმატებია.

**ბერლინი.** გუშინ, საღამოს 11 საათზედ პრინცესა ალისა ჰესენისა, რომელსაც თანა ჰყავს თავისი და პრინცესა ვიქტორია, ლივადიაში წავიდა. პრინცესა რკინის გზის სადგურამდის იმპერატორმა და პრინცმა ჰენრიხმა გააცილეს.

**პარიზი.** დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე რუსეთში წავიდა.

**სიმფეროპოლი.** დღეს დიდნი მთავარნი სერგეი და პავლე ალექსანდრეს ძენი ლივადიაში წავიდნენ.

**ტაშკენტი.** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი პეტერბურგს წავიდა.

*) ეს დეპეშა თავისს დროზედ არ მოგვივიდა ჩრდილოეთის სააგენტოსაგან.

---

# ფელეტონი

—

* * *

დამწარებული, გულ-სევდიანი
ვიჯექ წყვდიადში, ცრემლი მდიოდა,
სიკვდილს ვნატრობდი, მაგრამ სიკვდილი
ჩემკენ არას გზით არ მოდიოდა.

—

ვგმობდი განვლილ დროს... არც მომავლისგან
სალხენ-საამოს რამე ველოდდი;
გული ხსნას მთხოვდა, მაგრამ გულის წყლულს
მე შავ-დღიანი ვერას ვშველოდი.

—

აღარა მქონდა იმედის ნაშთიც,
ზედ მაწვა ლოდად ურწმუნოს ბნელი
და ბედთან ხანგრძლივ მწარ ბრძოლის შემდეგ
სული მუნჯობდა, როგორც ქვესკნელი.

—

უიმედობით დავცქეროდი სოფელს,
ღამის ძილისგან მიმკვდარინებულს:
შიგ ვჰვრეტდი ხანგრძლივ ბრძოლისგან მოღლილს,
მოკლულ-მოქანცულს ტანჯულთა კრებულს.

—

ახედავდი ცრემლებს იქ გუბედ ჩამდგარს,
თან ჩემის გულის მესმოდა ბოდვა:
მინამ არსებობს სოფელ-ქვეყანა,
არ შესწყდებაო ცრემლი და ცოდვა.

—

და ჩემს გონებას ბნელი მოედო,
ლონემ უმტყუნა სასო წარკვეთილს,
რადგანაც სწამდა, რომ გამარჯვება
არას დროს წილად არ ხვდება კეთილს.

—

გამიქრა გულში ყოვლისფრის რწმენა...
იქამდის ვიყავ აღშფოთებული,
რომ მხურდა მუდამ ცრემლში ვმჯდარვიყავ,
სოფელ-ქვეყნისგან განშორებული.

—

ამ დროს ინათა... ამომავალმა
მზემ ცის უფსკრულში სხივნი გასტყორცნა
და ცაზედ მოლოდ ღრუბელთა დასნი
ტკბილის ღიმილით მან გარდაჰკოცნა.

—

ასტყდნენ ფრინველნი და ველს მოედვნენ,
ცხოველთ ანაზდად გასდევნეს ძილი,
ყველა შეუდგა დღიურსა შრომას
და კვლავ ცხოვრებამ იწყო დუღილი.

ბედისგან დევნულ მშრომელთა გუნდმა
კვლავ თავ-განწირვით დაიწყო ბრძოლა
და მათმა სიმხნემ გამომაცოცხლა,
მყის ფრთა შემასხა და ამიყოლა.

—

ისევ გაბრწყინდა გულში იმედი!..
მსურს, რომ ბრძოლაში დავლიო სული:
ვით რჩეულთაგან, ისე ჩვენგანაც
წმინდა სისხლს და მსხვერპლს ითხოვს მამული?

ლ—ბა ქ-ნი

---

### წერილი სტამბოლიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

აგერ რამდენიმე დღეა, რაც აქედგან წავიდა ადმირალი სეიმური, ინგლისის ხმელთა შუა ზღვის ესკადრის უფროსი. სულთანმა ძალიან კარგად მიიღო იგი და კარგადაც გაისტუმრა. პირველის ხარისხის მეჯიდის ნიშანი და ერთი ბრილიანტებში მოჭედილი სათუთუნე მისცა ჯილდოდ. აქაურები ამბობენ, სეიმური აქ იმიტომ მოსულა, რომ სულთანისაგან ნება-რთვა აიღოს და თავისი ესკადრა სტამბოლის მახლობლად, დარდანელის სრუტეში დააყენოსო. ოფიციალურად ნამდვილი მიზეზი არავინ იცის, თუმცა ადვილად შესაძლებელია, რომ ადმირალი მართლა ამ საქმისათვის იყოს მოსული. მოვიდა თუ არა, მაშინვე მიღებულ იქმნა სულთანთან სადარბაზოდ და კარგა ხანსაც დარჩა სასახლეში. საყურადღებო ის არის, რომ პირველად, წარსულს წელს, მოვიდა აქ, ჯერ კიდევ ბოლგარიაში მინისტრად მყოფი სტამბულოვი, სულთანი კარგად დაუხვდა და სათუთუნე აჩუქა; წრეულს მოვიდა სერბიის მეფე ალექსანდრე, იმასაც კარგად დაუხვდა და სათუთუნე აჩუქა, ეხლა ადმირალი

**პეტერბურგი.** პრინცესა ალისა ჰესენისა დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულთან ერთად მიდის სიმფეროპოლს და იქიდგან ლივადიაში, სადაც მივა ორშაბათს საღამოს 6 საათზედ.

ოფიციალურად. ბიულეტენი 9 ოქტომბერს, საღამოს 8 საათსა და 50 წამზედ. გასულ დღე-ღამეს ხელმწიფე იმპერატორს ცოტა მეტი ეძინა, დგებოდა ჩვეულებრივ დროს; მადა და თვით-მგრძნობელობა უკეთესი აქვს; სხვა არავითარი ცვლილება არა ეტყობა-რა.

# ახალი ამბავი

*** 9 ოქტომბერს სიონის საკათედრო ტაძარში, წირვის გათავების შემდეგ, პარაკლისი იქმნა გადახდილი ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის განკურნების სავედრებლად. პარაკლისს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი შერემეტევი, მთავრობის სხვა-და-სხვა წამომადგენელნი და მრავალი ხალხი.

*** 30 ოქტომბერს დილის ათს საათზედ, დანიშნულია კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის სადგომში, სასოფლო სამეურნეო სასწავლებელთა შესახებ საქმის განსახილველად.

*** სოფ. ჯურუყვეთი (გურია): ამ დღეებში დაიწყეს ჩვენში წლის სარჩოს შენახვა. ეტყობა, რომ წელსაც საკმაოდ გვექნება ჭირნახული, ღვინის გარდა, რომელიც მეტად მცირე დადგა.

ამ ბოლოს დროს მეტის-მეტად წვიმიანი დღეები დაიჭირა და ამან ძალიან გაგვიჭირვა საქმე. თუ ამ ამინდებმა გასტანა, ბევრი ჭირნახულიც დაგვეკარგება და ვერც ბალახს შევინახავთ, მაგრამ იქნება არც იყოს საჭირო ბალახის შენახვა წელს ჩვენთვის, რადგან სოფ. ჩიბათში (თითქმის ერთად ბალახობს ჩიბათის და ჯურუყვეთის საქონელი) ჭირ ანი ჯოგი ჩამოურეკიათ მთიდგან და დღეში ათი-თხუთმეტი სული იხოცება. იმედი გვაქვს ადგილობრივი მთავრობა ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და საშუალებას იღონებს რასმე ჭირის მოსასპობად.

*** სოფ. ტოლა. (რაჭა): ორ ოქტომბერს სოფ. ტოლას სასოფლო კანცელარიის ეზოში ცუდი ამბავი მოხდა. ამავე სოფლის მცხოვრებნი ბესო და ქიშვარდი ბაქრაძენი, ბიძა და ძმისწული, მოჯამაგირე ბიჭის გამო წაიჩხუბნენ, ჯერ ერთმანეთს აგინეს, ბოლოს მიიწიეს კიდეც საცემრად. ბესოს შეეშინდა, ქიშვარდი მომერევაო, ამოიღო რევოლვერი და მარცხენა ფერდში დასცა თავისს ძმის-წულს. ტყვიამ საბრალოს მეორე გვერდში გაუარა და იქვე უსულოდ წაიქცა. დამნაშავე შეიპყრეს და თოკით შეკრული მაზრის უფროსს წარუდგინეს.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, პეტერბურგს სექტემბრის თვეში ყირიმის ბაღების ხილს გარდა, პირველად კავკასიის ბაღების ხილი მიუტანიათ (კომში, ატამი და ბროწეული), რომელიც სიმალალის გამო გზაში გაფუჭებულა და მომეტებული ნაწილი შუა რუსეთში გაყიდულა. ეხლა-კი რამდენიმე რკინის გზამ საგანგებო ვაგონები დაამზადა თურმე ხილის გადასაზიდავათ, რომ სწრაფად გადიტანონ და გზაზედ არ გაფუჭდეს. მომავალის წლიდგან ამ გვარი ვაგონები ყველა რკინის გზაზედ იქმნება შემოღებული და იმედია, რომ კავკასიის ხილის გაზიდვის საქმე გაუმჯობესდება და გაძლიერდება.

*** გაზეთ „ნოვ. ობოზ.“-ეს დეპეშით აცნობებენ, რომ გზათა სამინისტრომ უდროოდ იცნო ავჭალიდგან კავკავამდის რკინის გზის გაყვანა და კავკავის გზატკეცილის გაუმჯობესებას სთვლის საჭიროდაო.

კინბურნსკის მე- 19, დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ შემდგარი პოლკის უფროსი, სუროვცევი კავკასიის მთავარ-მმართებლის განსაკუთრებულ მინდობილებათა გენერლის თანამდებობის ასრულებლად დაინიშნა.

*** 9 ოქტომბერს სირაჯხანის აღმართში სოლომონ გაბაშვილს ღვინის სარდაფი გაუტეხეს და დახლიდგან 15 მან. მოჰპარეს.

*** ამავე ღამესა და იმავე აღმართში ნიკოლოოზ სტეფანოვს არყის საწყობის კარების კლიტე გაუტეხეს, მაგრამ მალე შეუტყო პატრონმა და ქურდმა ვერაფრის წაღება ვერ მოასწრო.

*** 8 ამ თვისას განოვის ქუჩაზედ ვასილ შანშიევს 240 მან. ტანისამოსი მოჰპარეს. ეჭვი მიიტანეს რაჭის მაზრის მცხოვრებელს პეტრე ნიკოლოოზის ძე და იმის ძმას ვარლამ გოცირიძეებზედ. გოცირიძენი შეპყრობილნი არიან.

*** ამავე დღეს რიყეზედ სათადარიგო ჯარის კაცმა სერგეი კუპავცევმა თავისს ცოლსა სცემა. ქალს ცემისაგინ მუცელი წაუხდა და ტყუპი მკვდარი ბავშვი ჰშვა. ქალი საავადმყოფოში გაჰგზავნეს და იქვე გარდაიცვალა. დამნაშავე შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

---

**შეცდომის გასწორება:** ბ-ნი სიმონიძის მეორე წერილში პასუხი „კვალის“ რაზმსა შემდეგი კორექტურული შეცდომები გაერია: „თავსს სოციალურს საქმესაცა“, უნდა ყოფილიყო: თავისს სპეციალურს საქმესაცა. „შემოკლებას იტანენ“, უნდა ყოფილიყო: შემოკლებას იტანს; „შემდეგი შარით“, უნდა ყოფილიყო: შემდეგი ხრიკით. „დაბოლოების ამოწყვეტა“ უნდა ყოფილიყო: დაბოლოების მოწყვეტა. ბოლდიხანი დიდგულა ფაფსურა“, უნდა ყოფილიყო: ბოლდიხანი დიდგულა ფაფხურაა; „უპატრონოს ფრიად საველო საზოგადო საქმესა“, უნდა ყოფილიყო: ფრიად სავადო საზოგადო საქმესა.

## კორესპონდენცია

**ს. ჭანჭათი** (გურია) დიდს გაჭირვებაში არიან ამ სოფლის მცხოვრებლები უგზოობის გამო. ერთად-ერთი გზა აქვთ, რომელიც დაბა ნაგომრიდგან სადგ. ნიგოითამდის არის გაყვანილი და შუაგულ სოფელში გადის. ამ სოფლის მცხოვრებლებს ბლომად მოჰყავთ: სიმინდი, ღომი, იზაბელლას ღვინო, ლობიო და სხვა, მაგრამ გზის უქონლობის გამო გასასყიდად არც ერთს არ გააქვს.

დადგება თუ არა შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული აქაურს გზაზედ მისვლა მოსვლა შეწყდება ხოლმე. თუ მოინდომეთ სოფელში გავლა, უსათუოდ არაბულ ბედაურზედ უნდა იჯდეთ, თორემ ჩვენებური ცხენი აქაურს ტალახს ვერ გაივლის და შიგ ჩაიხრჩვება. ეს გზა ფრიად სასარგებლოა როგორც ჩვენთვის, აგრეთვე ნიგოითელებისათვისაც და რომ გაკეთდებოდეს, ათას ჯერ უკეთესი იქმნება და უპირდაპირესი იმ გზაზედ, რომელიც დღეს ახალის მაზრის უფროსის ბრძანებით კეთდება დ. ნაგომრიდგან სად. ნიგოითამდის და სოფ აკეთზედ გადადის. ახალი გზა ამ სოფელზედ ძლიერ დაშორებულია. მთელის წლის განმავალობაში ერთხელ არ გაივლის ამ სოფლის მცხოვრები იქით.

როგორც შევიტყეთ, სამის თუ ოთხის წლის წინედ უთხოვნიათ მაზრის უფროსისათვის ამ გზის გაკეთება. მაზრის უფროსმა ბოქაული გამოგზავნა გზის დასათვალიერებლად. ბოქაულმა ჰნახა გზა და აცნობა თურმე მაზრის უფროსს, რომ ეს გზა ფრიად საჭიროა და დიდად გაჭირვებულნი არიან მცხოვრებლები უგზობის გამოო. მაზრის უფროსმა ადგილობრივს მამასახლისს მოსწერა, რომ გზა უსათუოდ უნდა გაკეთდესო. დღესაც ჩვენს „კანცელარიაში“ ჰგდია უყურადღებოდ მაზრის უფროსის მოწერილობა და გზა ისევ გაუკეთებელია.

დიდის მადლობის ღირსი იქმნება ჩვენი ახალი მაზრის უფროსი, რომ ამ გზას ეხლა მაინც გააკეთებინებინებდეს.

ზაქარია

---

**დ. ზუგდიდი.** ჩვენის დაბის წარმომადგენელნი დიდად სცდილობენ ამ დაბის განკარგებას. დაბის დეპუტატებმა, ადგილობრივ მაზრის უფროსის დახმარებით, დაადგინეს ოთხ კლასიანი ქალაქის სასწავლებელის დაარსება და ეს სურვილი განახორციელეს კიდეც. თუმცა სასწავლებელი ჯერ-ჯერობით ნაქირავებ სახლშია მოთავსებული, მაგრამ ქვის შენობაც დაწყებულია და ჩქარა იქმნება დამთავრებული.

დიდის მწუხარებით ამოიკითხეს აქ გაზეთში ის ამბავი, რომ რკინის გზა ზუგდიდს 11 ვერსტის მანძილზედ სტოვებს და ისე იქნება გაყვანილი ენგურამდისაო; ამის შესახებ აქ მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს, სთხოვონ უმაღლესს მთავრობას, რომ რკინის გზის სადგური არ აცილონ ამ ქალაქს.

ეს ყველა კარგია, მაგრამ საჭიროა ერთს გარემოებასაც მიაქციონ ყურადღება. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, არამც თუ ქალაქსა და დაბას, სოფლებშიაც კი დაარსებულია სამკითხველოები, ურომლისობაც დიდათ აწუხებს მცხოვრებლებს და ახლად სასწავლებლის მოსწავლეებს, და ჩვენ-კი ვერ ვღირსებით. მოსწავლეები მოწადინებულნი არიან სწავლას, მაგრამ წიგნებსა და ნივთებს აქაურს დუქნებში ვერა ჰშოულობენ და ყოველ ეტლის გასვლის დროს მუხლ-მოდრეკით ეხვეწებიან კონდუქტორებს წიგნების მოტანას დ. ახალ-სენაკისა და სხვა ქალაქებიდგან.

ძლიერ სასურველია, საჭირო და სასარგებლო, რომ ჭირისუფალი გამოუჩნდებოდეს ამ საქმეს და წიგნთსაცავს დააარსებდეს.

გრ. კორცხელელი

1894 წ., 6 ოქტომბერი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ ჟამად პარიზში ძლიერ ბევრსა ლაპარაკობენ სამინისტროს კრიზისის შესახებ. გაზეთი „Courrier Français“-ი სწერს, რომ ახალ კაბინეტის შედგენა მეტად ძნელი იქმნებაო: ვალდეკ-რუსსო არ მიიღებს პირველ მინისტრის თანამდებობას, რადგანაც არ უნდა თავი დაანებოს ადვოკატობას, ხოლო ბურჟე-კი ვერ მოახერხებს ახალ კაბინეტის შედგენას; დარჩა მხოლოდ მელინი და რეინალი. გაზეთის „Daily News“-ის კორესპონდენტი ამბობს, რომ მელინის მეთაურობა სამინისტროში მეტად სასარგებლო იქმნებოდა, რადგანაც იგი სრულიად მოსპობდა მფარველობის პოლიტიკას. ამ კორესპონდენტის აზრით, საფრანგეთში თანდათან იზრდება მფარველობის პოლიტიკის გამო უკმაყოფილება და ამიტომ სარეაქციონერო სამინისტრო ვერ შესდგება, რადგანაც ყველა უცხადებ უკმაყოფილებას აწინდელ სამინისტროს ანარხისტთა წინააღმდეგ ახალ კანონის დამტკიცებისა გამო. თუმცა მთავრობას ეს კანონი სასარგებლოდ მიაჩნიაო, ამბობს კორესპონტდენტი, მაგრამ საზოგადოება-კი მეტად ჯაალავა და ყველანი ძლიერ მოიმდურაო.

---

«Jonrnal des Débats»-ში დაბეჭდილია წერილები იაპონელთა განზრახვის შესახებ. გაზეთი ამბობს: „იაპონიას სულაც არა ჰსურს კორეს დაპყრობა, მაგრამ ამ მხარეს მხოლოდ მაშინ დაანებებს თავს, როცა იგი თავისს გამართვასა და გამგეობას შეიძლებსო. ამ გვარად კორე იგივე იქმნება იაპონიისათვის, რაც ინგლი-

---

სეიმური მოვიდა და იმასაც სათუთუნე უბოძა. სულთანის ამ საქციელს აქ სხვა-და-სხვა მნიშვნელობას აძლევენ. ზოგნი ამბობენ: „სულთანისათვის სულ ერთია სტუმარი დიდი თუ პატარა, ყველას ერთნაირად პატივსა სცემსო“. ზოგნი ამბობენ: „ფადიშაჰმა თითონ იცის, როგორც სჯობსო“ და ზოგნი-კი ასე ოხუნჯობენ: „ყველა ამ სამ სტუმართაგანს, როგორც სტამბულოვს და მეფე ალექსანდრეს, ისე ადმირალს სეიმურს ერთი და იგივე „ფექ-ეი, ამა, ოლმას“ („კარგია, მაგრამ არ იქმნებაო“) უპასუხა სულთანმა და როგორც ეს ერთნაირი პასუხი მიიღო ყველამ, ისევე ერთნაირი საჩუქარიც დაურიგაო. ამას იქით უნდა ვიგულისხმოთ, რომ, სათუთუნე ტკბილს პასუხს როდი მოასწავებს, არამედ ისე მწარეს და დამამშვიდებელს, როგორც არის თვით თუთუნიო“. თუმცა არც ერთის ნათქვამი ოფიციალურად არ არის შემოწმებული, მაგრამ ნათქვამია: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ და უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ყველამ ერთნაირი საჩუქარი მიიღო, ერთნაირი პასუხიც მოისმინეს. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ სტამბულოვს აქედან წასვლის შემდეგ ბევრი აღარ უცოცხლია მინისტრად; სერბიის მეფის ალექსანდრეს საქმეებიც არაფრით არ გაუმჯობესებულა და ადმირალი სეიმურის ესკადრაც არსადა სჩანს.

სულთანმა ადმირალს სეიმურს აჩვენა თავისის ჯარის ვარჯიშობა. უვარგო და მოუხერხებელ ადგილებისა გამო ჯარს ერთხელ ვარჯიშობის კანონი შეეშალა. შეიძლება ადმირალმა, როგორც ზღვის მოხელემ, ვერც-კი შეჰნიშნა ეს გარემოება, მხოლოდ სულთანის გამჭრიახ თვალს-კი ვერ გამოეპარა და ძალიან განრისხდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ კინაღამ მთელი ჯარი არ დასაჯეს და იმათი აფიცრები სურგუნში *) გაგზავნეს, მაგრამ ბოლოს, ბევრის თხოვნისა და ვედრების შემდეგ, სულთანმა აპატია ეს შეცდომა ოსმალეთის ჯარს. ასეთი ამბავი არასოდეს არ მოსვლია, ამას სხვათა შორის ამტკიცებს, სიტყვები იმპერატორის ვილჰელმისა, რომელმაც სთქვა: „ჩემი თავი ჩემს გერმანიის ჯარში მეგონა, როცა ოსმალეთის ჯარის ვარჯიშობას ვუყურებდიო“. ამ ამბის მიზეზად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ეს ჯარი თითქმის ყველა ყურა (ახლად ჯარში გამოწვეული) იყო. სულთანმაც ეს მიიღო სახეში, თორემ ისე არ აპატიებდა. საზოგადოდ ეხლა ძრიელ წარმატებაშია ოსმალეთის ჯარის საქმე. ამათს ჯარს ეხლა, იმ გერმანელ აფიცრებს გარდა, რომელნიც მოწვეულნი არიან, ბევრი თავისი უმაღლეს სწავლა-დამთავრებული აფიცრებიც ჰყავთ. თუმცა აქ რიგიანი სახელმწიფო სასწავლებლები აქვთ, ხშირად ევროპაშიაც ჰგზავნიან ხოლმე გასაწრთვნელად ახალ სწავლა-დამთავრებულს აფიცრებს. ევროპის ჯარის აფიცერმა ერთი ან ორი ენა იცის და აქაურმა კი ხშირად ოთხი და ხუთი. აქ ოსმალოთა სკოლებში ეხლა სავალდებულოა ევროპიულის ენების სწავლება. ბევრიც არიან ეხლა კარგად განათლებული აფიცრები და თავიანთ საქმესაც კარგად ასრულებენ.

განათლება აქ დღითი დღე წინ მიდის, მაგრამ კარგისა და ავის გასარჩევად გამოკვლევა მაინც ძნელდება და ზოგიერთი ძალიან ერთგული, განათლებული და სასარგებლო კაცი დიდხანს უყურადღებოდ რჩება. ასეც უნდა იყოს, რადგან ყოველივე საქმე, როგორც შინაური ისე გარეული, სულთანისაგან არის დამოკიდებული, უმისოდ არა გარიგდება-რა. ეხლანდელი სულთანი აბდულ-ჰამიდ-ხანი, იშვიათის ჭკუისა და ხასიათის კაცია და მასთან ერთი დასი დიდხანს ვერ გასძლებს. დღეს რომ ერთია ნდობასა და პატივში, ხვალ—მეორეა. ყველაზედ მეტს ხანს სულთანთან ჩერქეზების დასი იყო. ესენი მართლაც პატივსაცემნი არიან. ისეთი გაწყობილება და ძმობა აქვთ ერთმანეთს შორის, რომ ყველა ძმებსა და ნათესავებსავით უყურებენ ერთმანეთს. გაიხედავ და ჰხედავ, რომ ერთი საბაყელი ჩერქეზი ჩამოჩანჩალებულა და ტან-ფეხზედ სუფთა არა აცვია-რა. აიყვანებენ აქაური ჩერქეზები, ჩააცმენ ლამაზად სუფთა ტანისამოსს, დაარქმევენ მფლობელს ბეგს და იმდენს ეცდებიან, რომ უეჭველად დააწინაურებენ. ისე-კი არ იქცევიან, როგორც ჩვენებური მაჰმადიანები; თუმცა ერთგულობასა და ვაჟკაცობაში ძალიან განთქმულნი არიან აქაურსა და თითქმის ჩერქეზებზედაც-კი, ქიშპობა, ერთმანეთის გაუტანლობა და სიკულილი ხშირია მათ შორის. თუ ერთი ამათგანი დაწინაურდა, თავისს სახლის კაცსა და ძმასაც აღარ ჰკა დ-

*) სურგუნს დაკარგვას, გადასახლებას უწოდებენ.

სისთვის ეგვიპტეა. იაპონია იმ დრომდე არ მოსპობს ომს, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ ჩინეთი კორეს დაპყრობის ფიქრს სრულიად თავს დაანებებს. ამბობენ, ვითომ კორეს მცხოვრებთ დელეგაცია გაუგზავნიათ მიკადოსთან და უთხოვნიათ, კორე სამუდამოდ თქვენს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდესო.

იმავე გაზეთში სწერია: „თუმცა იაპონია ჯერ-ჯერობით ხმას არ იღებს რუსეთის იმ სურვილის გამო, რომ კორეში ერთი ნავთ-სადგური შევიძინოვო, მაგრამ იგი არას გზით არ დაუთმობს კორეში არც ერთს ადგილს ევროპის რომელსამე სახელმწიფოს. იგი არ მისცემს ნებას რუსეთსა, ისეთი ადგილი დაიჭიროს, რომელიც მთელის იაპონიისთვის საშიში იქმნება.

## რუსეთი

—

ფინლანდიის ქალაქ ჰელსინგფორსში შარშან დაარსდა საპენსიო კასსა მოსამსახურეთათვის. ნება-ყოფლობით შემოწირულებით საკმაო თანხა შესდგა, რომელსაც წელიწადში 600 მარკა სარგებელი შემოაქვს. მოსამსახურეს, რომელსაც კარგად უმსახურნია 15 წლის განმავლობაში, ნახევარი პენსია ეძლევა, ხოლო სრული პენსია ეძლევა იმას, ვინც კარგად იმსახურებს 25 წლის განმავლობაში; პენსიას აძლევენ პოლიციისა და იმათ მოწმობების თანახმად, ვისთანაც მოსამსახურეს უმსახურნია. განზრახვა აქვთ ავადმყოფ მუშათათვის ქსენონი დააარსონ. ამ საქმისთვის უკვე საკმაო ფულია შეკრებილი.

—

სარანის მაზრის ერობამ მოისმინა თურმე იქაური მემამულის ლილიენფელდის წინადადება, ერობამ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ თავად აზნაურობას შეარჩინოს ადგილ-მამულიო, თითონ სახელმწიფო ბანკმა შეისყიდოს დაგირავებული მამული მეზობლისა აღებულს ვალში და დანარჩენი ისევ ადგილის მეპატრონეს დაუბრუნოს. ეს არის ერთად-ერთი საშუალება, — ამბობს ლილიენფელდი, რომ მთავრობამ თავად-აზნაურობა გალატაკებისაგან დაიხსნას, თორემ მებატონეთა მთელი ყოფა-ცხოვრება ერთიანად ჩარჩებს ჩაუვარდება ხელშიო და ამ საქმის დაგვიანებაც აღარ შეიძლებაო. ლილიენფელდი იმ აზრისაა, რომ რუსეთის ყველა ერობამ უნდა მიართვას მთავრობას ასეთი თხოვნაო.

—

ფინლანდიის გაზეთების სიტყვით, ამ მოკლე ხანში მთელს ვიბორგის პოლიციას ველოსიპედები დაურიგდება, რომლითაც თავისის თანამდებობის ასრულებას დროს უნდა ისარგებლონ.

—

საკომერციო განათლების კომისიას, რომელმაც თავისს სამუშაო უკვე დაამთავრა, სხვათა შორის საჭიროდ დაინახავს ქალებისათვისაც დაარსდეს საკომერციო კურსები, რომელშიაც სწავლამ ერთ წელიწადს უნდა გასტანოს.

## უცხოეთი

—

**კორეა.** იაპონელებმა ჩინეთის ჯარი 4 სექტემბერს დაამარცხეს ჰინგიანგთან და მხოლოდ 26 სექტემბერს მივიდნენ ვიჟუს, მდინარე იალუზედ. 22 სექტემბერს მივიდნენ იუნგტიენგში და მტერი არსად შეხვედრიათ. 26 სექტემბერს მივიდნენ ვიჟუს და მცირე ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს ეს ქალაქი. ჩინელები მდინარე იალუს მარჯვენა ნაპირას გადავიდნენ და კორე სრულიად დასტოვეს: მარშალს იამაგატას უწინდებურად უმთავრესი შტაბი ჰინგ-იანგში აქვს. ამ გვარად ტყუილი გამოდგა ის ამბავი, ვითომ იაპონელები მუკდენთან მივიდნენ და პეჩელიის ყურეს ნაპირზედ გადმოვიდნენო. იაპონელები მუკდენში ოქტომბრის გასვლამდე არ იქმნებიან. კორეში კარგს მდგომარეობაში იქმნებოდა იმათი საქმე, მაგრამ კორელებს პატარა ჯარები შეუკრებნიათ, ამათ მიჰმატებიან გაქცეული ჩინელები და თუმცა ჯერ-ჯერობით საშიშონი არ არიან იაპონელებისთვის, მაგრამ ცოტაოდნად-კი მაინც აწუხებენ ხოლმე.

—

„Journal des Débats“ სწერს, რომ იაპონიის ახალგაზდათა დასს ფიქრადაც არ მოსვლია, ომი შესწყვიტოსო, სანამ მუკდენსა და პეკინს არ დაიპყრობენო.

„ეს ახალი დასიო, ამბობს გაზეთი, იმედოვნებს, რომ ახალს წეს-წყობილების დაფუძნებას ჩინეთში ხელს შეუწყობენ სხვა-და-სხვა საიდუმლო საზოგადოებანი, რომელნიც ჩინეთში ბევრია და რომელთა სურვილი იაპონელების სურვილს ეთანხმება. უფრო გულითადს სურვილს ამ ახალის დასისას ის ოცნება შეადგენს, რომ როგორმე ყველა ყვითელ კანიანები ერთს სახელმწიფოდ შეაერთონ და ევროპიელები შორეულ აღმოსავლეთიდგან გამოჰრეკონ. ამ ოცნების განხორციელებას უფრო ადვილადა სთვლიანო, დასძენს გაზეთი, ვიდრე ზამთარში მანჯურიის ჯარის წაყვანასა და პეჩალიის სრუტეს ერთ-ერთს ნავთ-სადგურში გადაყვანასაო.

—

გაზეთი „Times“ ევროპის სახელმწიფოთა აღმოსავლეთში ერთად მოქმედების შესახებ ამობს: რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონოდათ მშვიდობიანობის ჩამოგდებისა, მაინც ყოველ გვარი ცდა, ამ ჟამად უთუოდ უსარგებლოდ ჩაივლიდაო. იაპონია, თავისს თვალ-საჩინო გამარჯვების შემდეგ, არაფერს შემთხვევაში უარს არ იტყვის იმაზედ, რასაც აქამდე თხოულობდა. არავითარი ცდა, რომ სამტრო მოქმედებას ბოლო მოეღოს, ნაყოფს ვერ მოიტანს. ერთად-ერთი საშუალება, რომელიც იაპონელებზედ იმოქმედებს იმათ ძალაზედ გარდამეტებული ჯარების გაგზავნაა საომარ ასპარეზზედაო. ხოლო რადგანაც ეს მოსაფიქრებელიც არ არის, ამიტომ ამ საქმის დაწყნარების ყოველი იმედი ცრუ და ამაო იმედათ უნდა ჩაითვალოსო.

—

„Berliner Tageblatt“-ს კერძო დეპეშა მოუვიდა ლონდონიდგან, რომლითაც აცნობებენ, რომ ჩინელებისა და იაპონელების მთავრობამ ჯარებიდგან გაზეთის ყველა რეპორტერები და კორესპონდენტები დაითხოვა, რის გამოც ომის შესახებ ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობები მოდისო.

—

**ბულგარია.** საერო კრების დაწყებას მოელიან 13 ოქტომბერს, მაგრამ სოფიაში ეხლავე იკრიბებიან სხვა-და-სხვა დასების წევრნი მოსალაპარაკებლად, როგორ უნდა მოვიქცეთო. სხვათა შორის, მინისტრ-პრეზიდენტმა სტოილოვმაც გაჰმართა კერძო კრება ახალ ამორჩეულ დეპუტატებისა. ცანკოვის ერთმა მომხრემ სტოილოვს მიჰმართა და ამტკიცებდა, სამინისტრო კონსტიტუციის თანხმად უნდა მოიქცეს, ე. ი. სესსიის დაწყებისათანავე სამსახურიდგან უნდა გადადგეს და ამით შეძლება მისცეს პარლამენტის უმრავლესობას ახალი სამინისტრო შეადგინოსო.

## სიტყვა პროფესორის ლესგაფტისა.

—

ამ ბოლოს დროს ძლიან ბევრსა სწერენ საზოგადოდ სასწავლებლის და კერძოდ აღზრდის შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა წერილი პროფესორის ლესგაფტისა, რომელიც დასტამბულია „რუსულ სკოლის“ უკანასკნელს წიგნაკში და შეეხება რუსეთში ახლად აძრულს საგანს: „ფიზიკურს განვითარებას სასწავლებელში“.

შევუდგეთ რა სასწავლებელში ფიზიკურის განვითარების დანიშნულების გამორკვევასაო, ამბობს ავტორი, უპირველესად სრულის სინამდვილით უნდა განვმარტოთ სიტყვები: აღზრდა, სწავლა და განათლება, რადგანაც ჩვენის აზრით, აქამდის ჯერ რიგიანად არ არის შეგნებული ამ სიტყვების მნიშვნელობა. თითქმის თვით პედაგოგებსაც-კი ჯეროვანად არა აქვთ გამორკვეული თითოეული ამ სიტყვის მნიშვნელობა, არ იციან თითოეულ ამ სიტყვით რა უნდა იგულისხმონ და ვერა ჰხედავენ იმ კავშირს, რომელიც განათლებასა და აღზრდას შორის არსებობს. ბავშვის აღზრდის დროს ვამჩნევთ სამს უმთავრესს ნაწილს: აღზრდას, სწავლას და განათლებას, და, თუმცა დაახლოვებითაც ვიცით ბავშვის ბუნება, მაგრამ ამათი განცალკევება მაინც არ შეგვიძლიან.

ბავშვის აღზრდა, რომელიც ოჯახს აქვს მინდობილი, იმასა ჰქვიან, რომ იგი წესიერად გამოიკვებოს, ბუნებისა თანახმად აიყაროს ტანი და ამის წყალობით ეძლევა ძალა და ღონე მოღვაწეობისა. ამასთან რა-კი ადამიანი ორის მხრივ განირჩევა: ფიზიკურად და სულიერად, კაცის აღზრდაც ფიზიკურს და ზნეობრივს აღზრდად განაწილდება. სულიერი ანუ ზნეობრივი აღზრდა ბავშვებისა ის არის, რომ უმაწვილს გამორკვეული ჰქონდეს მნიშვნელობა სიმართლისა და ჩანერგილი — პატივისცემა სხვა ადამიანისა. სანამ თვით განათლების მნიშვნელობას აღვნიშნავდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ აქამდის რიგიანად ვერც-კი გაურჩევიათ, განათლება სწავლისაგან.

სწავლის დანიშნულება ის არის, რომ რაც შეიძლება ბევრი ცოდნა მისცეს კაცს, და მეცნიერების მიერ აღმოჩენილი ცნობები შეათვისებინოს. განათლების დანიშნულება-კი ის არის, ისე აღზარდოს ადამიანი, რომ ცნობიერად ეკიდებოდეს ყოველს თავისს საქციელს, შეიმაგროს, შეჰზღუდოს ამ საქციელის თვით-მხებელობა, იდეალთან დაუახლოვოს და სურვილი ჩაუნერგოს განკარგებისა და გაუმჯობესობასა. აქედგან ნათლადა სჩანს, რომ „სწავლასა“ და „განათლებას“ სულ სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს. ეს ორი საგანი ერთმანეთში არ უნდა აურიონ. სასწავლებელში „სწავლა“ მხოლოდ ერთი საშუალებათაგანია, განათლების ხელის შემწყობიო.

ეს ყველასათვის ნათელია და აშკარა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ რუსეთში სასწავლებელს ეს უბრალო საქმე დღესაც არა აქვს შეგნებული. და „აღზრდას“ „სწავლას“ და „განათლებას“, ამ სამს ცნებას, ერთმანეთში დომხალივით ურევენ.

## სამეცნიერო ნაწილი

—

### ყელჭირვების აცრა

გაზეთმა „Figaro“-მ დაჰბეჭდა საყურადღებო ცნობანი ყელჭირვების აცრის შესახებ. ექიმს რუს გამოუანგარიშებია, რომ პარიზის სამკურნალოებისათვის ყელჭირვების ასაცრელ წამლის გასაკეთებლად საჭიროა წელიწადში 6000 ფრანკიო. ეხლა, როცა გაზეთმა «Figaro»-მ ხელის მოწერით 200 ათასი ფრანკი შეაგროვა, პასტერის ინსტიტუტში ასაცრელ წამალს გააკეთებენ ხოლმე მთელის საფრანგეთისათვის. ამ საქმისათვის პასტერის ინსტიტუტს უკვე უყიდნია მრავალი ცხენი, რომელთაც ყელჭირვება უნდა აუცრან. ცხენს 70 დღის განმავლობაში რამდენჯერმე აუცრიან ყელჭირვებას. მერე ყოველს ოც დღეში ერთხელ თითო ცხენს შეიძლება ორი ლიტრა ($^1/_5$ ვედრო) სისხლი გამოუშვან დი ამ სისხლით ყელჭირვება აუცრან 40 ყმაწვილს. ამ გვარად პასტერის ინსტიტუტს მხოლოდ რამდენისამე თვის

---

რულობს, არა თუ ჩერქეზებივით თავისს ტომის კაცს შეეწიოს. ეს ქიშპობა რომ არ იყოს, ესენი ძალიან წინ წავიდოდნენ, რადგან შესამჩნევის ნიჭის პატრონები არიან, თითქმის ყველა პირველ მოწაფეებად ასრულებენ კურსს. ეხლა ჩერქეზების დასსაც მოაკლდა წყალობა და ცოტა გურჯები (ქართველი მაჰმადიანები) დაწინაურდნენ, მ გრამ უეჭველია, დიდხანს ვერ გაატარებენ ამ ყოფაში. ქართველ მაჰმადიანთა შორის აქ ბევრნი არიან ეხლა დაწინაურებულნი, ყველაზედ უფრო თავდგირიძეები. ორი-სამი ფაშაც არის ამათგან: ალი ფაშა, ოსმან ფაშა, და ბაჰრი ფაშა, სხვები პოლკოვნიკები, მაიორები და კაპიტნები არიან. სტამბოლის ერთს მახლობელს სოფელში მავრიკოის განსაკუთრებული ტელეგრაფის განყოფილებაა დაფუძნებული. ვისაც სურს, რა წოდებისა და რჯულისაც უნდა იყოს შეუძლიან პირდაპირ სულთანს აცნობოს თუ იცის რამე. ეს შესაძლებელია სხვა ადგილებიდგანაც და სტამბოლს გარეშე ქალაქებიდგანაც.

მაჰმადიანთა ძველმა ფანატიკოსობამ და უთავბოლო პოლიტიკურმა მოძრაობამ საქმე ისე გაამწვავა, რომ ბევრი შესამჩნევი კაცები იმსხვერპლა. საგანი ამ მოძრაობისა სრულად უსაფუძვლო და შურიანის კაცების თავმოყვარეობით იყო გამოწვეული. ხშირად სულთანებიც-კი გამხდარან ამ კაცების მსხვერპლნი სრულად უაზროდ და უმიზნოდ. არასოდეს ისეთი ცვლილება არა მომხდარა-რა აქ, რომ ამ ცვლილებისთვის, რომელიმე საპატიო კაცის დაკარგვა და მსხვერპლვა ღირებულიყოს. წინა საუკუნეებში, როგორც ამტკიცებს პატივცემული ისტორიკოსი ოსმალებისა ჯევდედ-ფაშა, თუმცა ძალიან სასტიკად ეკიდებოდა აქაური მთავრობა ხალხს, მეტადრე ეჯნებს (უცხოებს) - სულთანისა და მისი მართლ-მორწმუნე მაჰმადიან ქვეშევრდომთა შორის მაინც დიდი თავისუფლება იყო. ყოველ მაჰმადიანს ადვილად შეეძლო სულთანის ნახვა. სულთნებიც თავისუფლად უშიშრად ათვალიერებდნენ და უყურებდნენ ყველას. აბდულ აზიზის უსაფუძვლოდ ტახტიდგან ჩამოგდებამა და ულვთოდ მოკვლამ ეს თავისუფლება მოსპო და ეს არის მიზეზი, რომ დღეს აბდულ ჰამიდის არ ავიწყდება თავისს ბიძის მოკვლა. კიდეც ამიტომ ფრთხილად იქცევა.

ამას წინად სულთანთან სადარბაზოდ იყო იტალიის ელჩი გრაფი კატალანი. ეს ის ელჩია, რომლის შესახებაც გაზეთები სწერდენ, რომ სულთანთან სადარბაზოდ მისვლამდის თავისის სახელმწიფო ქვეშევრდომები ჰნახაო და ამითი დაარღვია საზოგადო ჩვეულება. არც ერთს ელჩს არ აქვს ნება, სანამ სულთანს არ გამოეცხადება თავისს ქვეშევდომები ჰნახოს. გრაფი კატალანი წინადაც არის აქ ნამყოფი. ამის მისვლამდე სხვა ელჩი იყო. მხოლოდ რა-კი იმის დროს იტალიის პოლიტიკა აღმოსავლეთში კარგად ვერ მიდიოდა, გამოსცვალეს ისევ გრაფი კატალანი დანიშნეს. ჯერ კიდევ სულთანის ნებართვა არც-კი იყო მისული ნეაპოლში, რომ კატალანი სტამბოლს მოვიდა და ამ მიზეზების გამო სულთანი დიდად უკმაყოფილო იყო. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ დიდხანს ვერ ეღირსა გრაფი კატალანი სულთანის ნახვას. ეხლა მის სადარბაზოდ მიღების მიზეზად-კი ასახელებენ, რომ იტალიისა და საფრანგეთის შორის ლაპარაკია აძრული ტრიპოლის გამო. ამ ორს სახელმწიფოში ტრიპოლის მიზეზით რაღაც უკმაყოფილება ჩამოვარდა და რადგან დღეს ტრიპოლი ოსმალეთის მფლობელობაშია, სულთანის ნება დაურთველად არ ა იქნებაო. თუმცა ოფიციალურად არაფერი სჩანს, ის-კი უეჭველია, რომ იტალია ძალიან მოწადინებულია ხელში ჩაიგდოს ტრიპოლი, რომ სულთან ჰამიდი ასე ადვილად ტრიპოლს არავის არ დაუთმობს. ათი-თხუთმეტის წლის წინედ შეიძლება ეს საქმე ადვილადაც მოხერხებულიყო, რადგან მაშინ კიდევ, მარტო რჯულის ფანატიკოსობის გრძნობით იყვნენ გატაცებულნი, ეხლა-კი ყველა მამულის სიყვარულით არის გამსჭვალული, როგორც განათლებული, ისე გაუნათლებელიც. აი რას ამბობენ აქაური ოსმალოები: „ნურავინ იფიქრებსო, რომ თავისუფლება გავიყიდოთ: თუ კი სრულათ ულონო, ნორჩმა ერმა თავისუფლება ჯოხით მოიპოვა, ჩვენ, რომელიც ჯერ თოფ-იარაღი და ღონეც ხელთა გვაქვს, რაღა ღმერთი გაგვიწყრება. ეს ყველამ იცოდეს ვინც ჩვენი მტერია, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთ, ყველანი თავს შევსწირავთ, ჩვენ თავისუფლებას არავის შევალახვინებთო?“..

ვ.

შემდეგ ექმნება ყელჭირვების ასაცრელი წამალი, რომელსაც მთელს საფრანგეთში გაუგზავნის სამკურნალოებს, სადაც დასჭირდება.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ამერიკის ნ.-ჯერსეის შტატში ადგილობრივმა შერიფმა ჩემბერსმა გამოაცხადა, მთელი ქალაქი უნდა გავყიდოვო. ეს შერიფი მემკვიდრეა უკელა იმათი, ვინც გასულ საუკუნეს ფული ასესხა იმ მიწების პატრონთ, რომლებზედაც გაშენებულია ქალაქი. ეხლა ქალაქის ადგილების პატრონებს ვერავითარი მოუხერხებიათ შერიფის ამ მოულოდნელ საქციელის წინააღმდეგ და ქალაქი უეჭველად უნდა გაიყიდოს.

## გორისა და ცხინვალის საზოგადოების საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბატონ ტფილისის გუბერნატორის ნება დართვით, მოგზაურობას ვაპირობ გუბერნიაში იმ აზრით, რომ პირადად გავაცნო ადგილ-მამულის მეპატრონეებთ პროექტი, რომელიც მე მაქვს შედგენილი და შეეხება ელევატორების დაარსებას, როგორც სხვა-და-სხვა გვარ ხორბლეულობისა, აგრეთვე საზოგადოდ, მიწის მოსავლისათვის, მაგალითად ბოსტნეულობისა და ხილისათვის. საუკეთესო მაზრა მთელს ქართლში, ჩემის აზრით, ელევატორის დასაარსებლად ქ. გორის სარკინის-გზო სადგურია, რომლის აგებას დიდად უნდა შეუწყონ ხელი ცხინვალის მოვაჭრეებმაც. ჩემგანვე შედგენილმა ამხანაგობამ უნდა დააარსოს ფოთის სანავსადგურო საქონლის და ხორბლეულობის საწყობი ელევატორი რომელსაც საგნა ექმნება გააძლიეროს აღებ-მიცემობა და ღირებულ ფასად გაჰყიდოს სხვა-და-სხვა ქვეყანაში კავკასიის ყოველ გვარი მოსავალი და საქონელი, რაც-კი მოდის კასპიის ზღვიდგან დაწყებული შავ-ზღვამდის. ამ ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ კავკასიის წარჩინებულნი მცხოვრებნი, მდიდარნი მემამულენი, რომელთა რიცხვი ოც-და-ხუთს არ აღემატება. აუცილებლად საჭიროა, რომ ამგვარი საწყობები გაიმართოს სამტრედიასა, სენაკსა, გორსა და ალსტაფაში, ამ საჭიროებას ისიც ამტკიცებს, რომ ამ მოკლე ხანში გზათა უწყების მინისტრმა ური[illegible] კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას, მოიპოვეთ თანაგრძნობა თავად-აზნაურობისა და ადგილ-მამულის პატრონთა, რომ თავისის მხრივ იმათაც მიიღონ მონაწილეობა ელევატორების აგების საქმეშიო. მთავრობა ჰპირდება, რომ ფინანსთა მინისტრი საზოგადოებას შემწეობას აღმოუჩენს იმითი, რომ მცირედის სარგებლით ფულს მისცემს სესხად და გზათა მინისტრიც ადგილებს დაუთმობს რკინის სადგურებზედ ამ ელევატორების ასაშენებლადო.

მე ჩემი მოხსენება წარვუდგინე სამეურნეო საზოგადოებაში ელევატორებისა და იმის შესახებ ვინ უნდა იყოს მწარმოებელი და მესაკუთრე ელევატორებისა. საზოგადოებამ ჩემი მოსაზრება საყურადღებოდ დაინახა და იმის გამო იქნება კიდევ ბაასი, ამავე საგნის შესახებ. თავად-აზნაურობამ დაადგინა, რომ ეს ჩემი მოხსენება განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილოს, რომლის თავმჯდომარედაც გუბერნიის მარშალი იქნებაო და თავად-აზნაურობას ეცნობოს, რამდენად სასარგებლო იქნება იმისთვის, რომ იმის საშუალებით გაიმართოს ზოგიერთს ადგილას ელევატორების ამხანაგოდ, რომლის წევრებიც ადგილობრივი მემამულენი უნდა იყვნენ. ამ აზრითვე ამ დღეებში გორში ვიქნები, რათა პირადად გავაცნო საზოგადოებას ჩემი პროექტი. პროექტი წაკითხული იქნება გორის კლუბში ქართულს ენაზედ და მერე იმედი მაქვს, ადგილობრივი მაზრის უფროსისა და მარშლის შემწეობით, შევადგინოთ იმათი სია, რომელთაც შეუძლიანთ განხორციელება ამ წინადადებისა და აგება ელევატორისა გორის რკინის გზის სადგურზედ.

იმედი მაქვს ადგილობრივი მთავრობა და საზოგადოების წარმომადგენელნი, თავად-აზნაურნი და ვაჭარნი, ხელს მამიმართავენ ამ საქმეში. დღე ამ მოხსენების წაკითხვისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ფოთის სანავთ-სადგურო საქონლის საწყობ ელევატორის ამხანაგობის წარმომადგენელი

დიმიტრი ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი

## გამოსადეგი ცნობა

დაბეგვილ-დაჩერქვილის წამალი. ძალიან კარგი საშუალებაა დაბეგვილისა და დაჩეჩქვილისათვის, ან ჩექმისაგან, ან უნაგირისაგან, ამ გვარათ შეზავებული წამალი. 30 გრამი სასამებელი გლიცერინით და 4 გრამი ნამდვილი კუპრი ერთად აურიეთ, როგორც მალამო. ეს მალამო წაისვით დაბეგვილ ადგილზედ და მალიან მოუხდება.

## თეატრი და მუსიკა

გაზ. „Новое Время“-ს ერთი ტფილისელი კორესპონდენტი სწერს ტფილისის თეატრის ამბავს და მალიან აქებს საოპერო დასს. ამაზედ უკეთესის დასის მოწვევა შეუძლებელიც არის იმ სუბსიდიითაო, რომელნიც სახელმწიფო თეატრს ეძლევაო. უეჭველია ახალი დირექტორი თეატრისა ვ. ოპოჩინინი, რომელიც სათეატრო საქმის მცოდნედ ითვლება, განაკარგებს ოპერის საქმესაო.

ახალს თეატრს თუმცა ეს მეთვრამეტე წელიწადია აშენებენ, მაგრამ ჯერ კიდევ არავინ იცის როდის დაამთავრებენო. დანარჩენი ჩვენი სათეატრო და სამუსიკო დაწესებულებანი და მათ შორის ქართული და სომხური დასი, ძლივს-და ჰბოგინებენ, თუ სულიც არა აქვთ ამოხდილიო.

აი ასეთს მდგომარეობაში ქართულ დრამატიულ დასის საქმე და მაინც არიან ისეთი ვაჟბატონები, რომელნიც ხელს უშლიან თეატრის ფეხზედ დაყენებისა და განკარგების მსურველთ.

—

დღეს სახელმწიფო თეატრში პირველად წარმოდგენილ იქნება ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“. დამზადებულია ახალი დეკორაციები და ტანისამოსი. მონაწილეობას საუკეთესო არტისტები იღებენ.

## გასართობი

ორი მეგრელი და ერთი გურული ბაასობდნენ რკინის გზის სარგებლობის შესახებ გურია-სამეგრელოში:

— რასია ამბობ პარტენი დიდი წყალობაა ეს მარშინა ჩვენდა.

— თქვენ არცვენთ ჭკუის ნასახი არ ქობია, ბიძიავ, უთხრა გურულმა. რაც მაშინაი გამოჩნდა ჩვენშიდ, მას მერე მე ქალისზა მაღალი სიტყვა არ მითხრობია. აბა, იფიქრე შენ, რომ უთხრა დაკრავს ფეხს და ჰაიდა!.. მიზდიე კუდში! და კაკალი უყარე!..

**

— რამდენი თითი გაქვს ხელებზედ და ფეხებზედ? ჰკითხა მასწავლებელმა პატარა ყმაწვილს გამოცდის დროს.

— ხელებზე ათი თითი მაქვს და ფეხებზედ-კი არ ვიცი, რადგან ეხლა ჩექმები მაცვიაო, უპასუხა ბავშვმა.

**

პარლამენტის პრეზიდენტი პარიზის თეატრის ფოიეში იყო. ერთმა არტისტმა ქალმა ხუმრობით უშველებელი პარიკი მოხადა თავიდგან.

— ნუ ჰცელქობთო, შენიშნა ვიღამაც თორემ მაგ ხუმრობით ამ კაცს ყოველ ღირსებას ართმევთო.

## პეტერბურგის ბირჟა, 7 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,51 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149¼ | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 237½ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 217 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 189¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101¾ |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101¾ |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99 ,, | — ,, |


# განცხადებანი

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—11)




საპონი «ნევის კაპრიზი»
საპონი «სათუო»
საპონი «მიუსკ»

მშვენიერი სუნისა, მეტადრე სასიამოვნოა ხმარებაში.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—15—2)




ვერცხლისა ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა.**

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

**ა. ა. თუთაევისა**

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს კუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად ედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიდის ფერად აგურის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიპოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—32 ალალო თუთაევი



## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


Дозволено цензурою Тифлисъ, 10-го Октября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.